



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE  
BODY



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომის  
ოქმი N18

ქ. მარნეული

13.10.2017 წელი

**სხდომას ესწრებოდნენ:**

**ბიუროს წევრები:** -

ნაზი აბდულაევი, ამირან გიორგაძე, ვანო ბურნაძე, ნიკოლოზ გოგოჭური, რიჩარდ გიგანი, კოტე ბოჭოძე, რაფიკ მუსაევი, ვალი ისმაილოვი, აზიდ ოსმანოვი, გივი ქველაძე, რამიზ გიულმამედოვი, რაფიკ ჯაფაროვი.

**სხდომას არ ესწრებოდა:** ვალერი მეტრეველი, ირაკლი ბურნაძე, ქამილ ალიევი.

**სხდომას ესწრებოდა:** მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ზაურ ტაბატაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე.

**განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:**

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი მარნეულის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“-ს 2017 წლის 12 ოქტომბრის N185 წერილის განხილვის შესახებ.
3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი მარნეულის მუნიციპალიტეტის „კულტურის ცენტრი“-ს 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

## განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ და მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა, ბიუროს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინეს მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტში შესატანი ცვლილებები, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 12 ოქტომბრის N03/11787 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რათა დამტკიცდეს ა.ა.ი.პ. მარნეულის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“-ს 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა და საშტატო განრიგი, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 05 ოქტომბრის N03/11515 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ა.ა.ი.პ. მარნეულის მუნიციპალიტეტის „კულტურის ცენტრი“-ს 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2017 წლის მეთვრამეტე რიგგარეშე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაზი აბდულაევია